„პროფესიული განათლების ეროვნული პროფესიული საბჭოს“ სხდომა N2

13 ოქტომბერი, 2017 წელი

შეხვედრის დასახელება	„პროფესიული განათლების ეროვნული პროფესიული საბჭოს“ სხდომა
შეხვედრის თარიღი:	13 ოქტომბერი, 2017 წელის
შეხვედრის ადგილი:	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
შეხვედრის მონაწილეები:	
სახელი, გვარი	თანამდებობა
საბჭოს წევრები	
საქართველოს მთავრობის მხარე	
ქეთევან ნატრიაშვილი	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე
ნინო ჯავახაძე	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე
დამსაქმებელთა ასოციაციების/გაერთიანებების მხარე	
მაია ჩიხლაძე	საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის გამგეობის წევრი, ქალ მეწარმეთა ასოციაციის წევრი, კერძო კოლეჯების ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი
დასაქმებულთა პროფესიული კავშირების მხარე	
ირაკლი პეტრიაშვილი	საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების თავმჯდომარე
ილია ვერძაძე	საქართველოს პროფესიული კავშირების აჭარის რესპუბლიკური გაერთიანების თავმჯდომარე
ამირან ზენაიშვილი	საქართველოს ენერგეტიკის მუშაკთა პროფესიული კავშირების თავმჯდომარე
სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა მხარე	
სერგო თურმანიძე	ა(ა)იპ ასოციაციების მართვის ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი
ალექსანდრე ეჯიბაძე	პროფესიული განათლების ფონდის გამგეობის თავმჯდომარე
საბჭოს სხვა მონაწილეები	
პაატა ჟორჟოლიანი	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალურის დაცვის სამინისტროს წარმომადგენელი
ნინო ყოჩიშვილი	ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში EU
ირინა წეროძე	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსი

ნოდარ სურგულაძე	ათასწლეულის გამოწვევის ფონდი MCA
იო ფლეთჩერი	გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება GIZ
ნათია სულავა	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წარმომადგენელი
საბჭოს სხდომის მდივანი	
ანა ჩხიკვაძე	პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის სოციალური პარტნიორობის ხელშეწყობის სამმართველოს უფროსი სპეციალისტი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

შეხვედრის დღის წესრიგი

დრო	შინაარსი	მომხსენებელი
13:30-13:40	სხდომის გახსნა, დღის წესრიგის გაცნობა	**ქეთევან ნატრიაშვილი** საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე
13:40-14:10	საქართველოს განათლების სისტემის განვითარების ერთიანი სტრატეგია სამუშაო ვერსია	**ირინა წეროძე** საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსი **ქეთევან ჯაყელი** კონსულტანტი
14:10-14:40	თემის განხილვა/დისკუსია	
	შეჯამება	

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე, ქ-ნი ქეთევან ნატრიაშვილი მიესალმა პროფესიული განათლების ეროვნული პროფესიული საბჭოს (შემდგომში საბჭო) სხდომის მონაწილეებს და ხაზი გაუსვა სხდომაზე თითოეული წევრის მონაწილეობის მნიშვნელობას. მოწვეულ სტუმრებს გააცნო დღის წესრიგი და სიტყვა გადასცა შეხვედრის მომხსენებელს, პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსს, ქ-ნ ირინა წეროძეს.

ქ-ნმა ირინამ, საბჭოზე დამსწრე პირებს გააცნო საქართველოს განათლების სისტემის განვითარების ერთიანი სტრატეგიის შემუშავების პროცესის მიმდინარეობა და ხაზი გაუსვა სოციალური პარტნიორების ჩართულობას აღნიშნული დოკუმენტის დახვეწის პროცესში. . ასევე გამოყო ძირითადი მიზნები და ამოცანები, რომლებიც დეკლარირებულია ახალ სტრატეგიულ დოკუმენტში: მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის შესაძლებლობის შექმნა, სტუდენტების რაოდენობის გაზრდა, ხელმისაწვდომობისა და ხარისხის გაუმჯობესება, პროფესიული განათლების ინტერნაციონალიზაცია და მიმზიდველობის გაზრდა. შეჯამების სახით ქ-ნ ირინამ აღნიშნა, რომ ერთიანი სტრატეგია მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს განათლების საფეხურებს შორის კავშირის გაუმჯობესებას და სისტემის განვითარების ერთიანი ხედვის ჩამოყალიბებას. პრეზენტაციისთვის სიტყვა გადაეცა ქალბატონ ქეთევან ჯაყელს.

ქალბატონმა ქეთევანმა სხდომის მონაწილეებს გააცნო სტრატეგიის მისია, მიზნები და ამოცანები. მან გამოყო სამი მთავარი ამოცანა: პროფესიული განათლების შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობა და სისტემის ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან დაახლოება; პროფესიული განათლების საყოველთაო ხელმისაწვდომობა, სადაც მოიაზრება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების (სახელმწიფო და კერძო) ერთიანი საყოველთაოდ ხელმისაწვდომი, მოქნილი ქსელის შექმნა, დივერსიფიცირებული დაფინანსების მექანიზმების შექმნა და სხვადასხვა სამიზნე ჯგუფების, მათ შორის ზრდასრულთა საჭიროებების დაკმაყოფილებისკენ მიმართული, მოქნილი სასწავლო პროგრამების, მოდელებისა და სერვისების შექმნა; პროფესიული განათლების პოპულარიზაცია და მიმზიდველობის გაზრდა. პრეზენტაციის დასრულების შემდგომ სხდომა კითხვა-პასუხისა და ამოცანების განხილვის რეჟიმში წარიმართა. კითხვები შეეხო პროფესიული განათლების პოპულარიზაციას და ახალი ბრენდის შექმნის საკითხს, რაზეც გაკეთდა განმარტება რომ 2018 წლიდან დაიწყება საკომუნიკაციო სტრატეგიის განხორციელება და დამატებითი საგანმანათლებლო სერვისების შემუშავება მოსახლეობის საჭიროებების გათვალისიწინებით. საბჭოს წევრებისაგან გამოითქვა აზრი, რომ არაფორმალური განათლების საკითხს უფრო მეტად გაესვას ხაზი სტრატეგიის დოკუმენტში. მხარეებმა მოიწონეს აღნიშნული რეკომენდაცია.

საბჭოს დასასრულს სხდომის წევრებმა, მოიწონეს ძირითადი სტრატეგიული დოკუმენტი და იმედი გამოთქვეს, რომ სამოქმედო გეგმა უფრო ნათელს გახდის დოკუმენტში მოცემული მიზნებისა და ამოცანების მიღწევისათვის, საჭირო აქტივობების ჩამონათვალს და სოციალური პარტნიორების როლს განათლების სისტემის განვითარების პროცესში.

ქალბატონმა ქეთევან ნატრიაშვილმა შეხვედრა შეაჯამა და მადლობა გადაუხადა სხდომის წევრებს მობრძანებისა და განხილვაში მონაწილეობისთვის.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე

ქეთევან ნატრიაშვილი

„პროფესიული განათლების ეროვნული პროფესიული საბჭოს სხდომის“ მდივანი

ანა ჩხიკვაძე